თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის რექტორი

# ბრძანება

MES 9 20 0000596282

13/07/2020

**2020/2021 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრიდან შპს ,,დავით აღმაშენებლის სასწავლო უნივერსიტეტის“ სტუდენტებისათვის თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში რიგგარეშე მობილობის ორგანიზაციულ–სამართლებრივი ღონისძიებების განსაზღვრის შესახებ.**

,,უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის წესდების მე–14 მუხლის, სსიპ-განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის უფროსის #1.1/64 26.06.2020წ ბრძანების შესაბამისად, 2020–2021 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში რიგგარეშე მობილობის ორგანიზაციულ–სამართლებრივი ღონისძიებების განსაზღვრის მიზნით,

**ვბრძანებ:**

I. 2020–2021 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში რიგგარეშე მობილობა განხორციელდეს დადგენილი წესით რეგისტრირებულ და გამოქვეყნებულ ვაკანტურ ადგილებზე:
1) დიპლომირებული სტომატოლოგის საგანმანათლებლო პროგრამა (ერთსაფეხურიანი სამედიცინო განათლება) - 75 ადგილი.
II. გადმოყვანის წესით ჩარიცხვის მსურველმა თსსუ-ის შესაბამისი ფაკულტეტის დეკანატში **2020 წლის 15 ივლისის ჩათვლით** უნდა წარმოადგინოს შემდეგი საბუთები:

1. განცხადება უნივერსიტეტში ჩარიცხვის თაობაზე;
2. სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი და ამ დოკუმენტის ნოტარიულად დამოწმებული ასლი;
3. სამხედრო აღრიცხვაზე ყოფნის დამადასტურებელი დოკუმენტი (ვაჟებისათვის);
4. 4 ფერადი ფოტოსურათი (3X4, ელექტრონული ვერსიაც);
5. პირადობის მოწმობის ასლი;

III. სტუდენტთა გადმოყვანის წესით ჩარიცხვის ბრძანების პროექტი სსიპ-განათლების მართვის საინფორმაციო სისტემას გადაეცემა კომისიის შესაბამისი გადაწყვეტილებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებიდან თბილისის სახელმწიფო სამედიცინო

უნივერსიტეტში გადმოყვანის წესით სტუდენტთა ჩარიცხვის  თაობაზე კომისიის დასკვნის წარმოდგენის შემთხვევაში.

IV. სსიპ-განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის დადებითი დასკვნის, თსსუ-ის მიერ დადგენილი სწავლის საფასურის გადახდისა და სტუდენტის პირადი საქმის წარმოდგენის საფუძვლებზე, თსსუ-ის რექტორი გამოსცემს "შპს დავით აღმაშენებლის სასწავლო უნივერსიტეტიდან რიგგარეშე მობილობით სტუდენტთა ჩარიცხვის თაობაზე" ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს, რომლის ელექტრონული ვერსია, გამოცემიდან ორი სამუშაო დღის ვადაში წარდგენილი იქნება სსიპ-განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში და აისახება რეესტრში.

V. დაევალოს საქმისწარმოების სამსახურს (ნ. ჩიხრაძე) უზრუნველყოს ამ ბრძანების განთავსება უნივერსიტეტის თვალსაჩინო ადგილას.

VI. დაევალოს საზოგადოებრივ ურთიერთობათა სამსახურს (გ. ჭიჭინაძე) წინამდებარე ბრძანების განთავსება თსსუ-ის ვებგვერდზე.

VII. კონტროლს ბრძანების შესრულებაზე განვახორციელებ პირადად.

VIII. ეს ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

პროფესორი ზურაბ ვადაჭკორია

**რექტორი**